By addressing real-life environmental issues, the project facilitated the functional integration of chemistry knowledge with computer technologies. This interdisciplinary approach fostered the development of critical thinking, practical, metacognitive, and technological competencies, while also enhancing media and digital literacy among students.

**Keywords:** electronic learning, Minecraft, project-based learning, digital literacy, interdisciplinary education.

## ელექტრონული სწავლების პრაქტიკა MOODLE -LESSON

### მარიამ ზაქარიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

მასწავლებელი, თელავის N5 საჯარო სკოლა  
თელავი, საქართველო  
[mariam.zaqariashvili@tesau.edu.ge](mailto:mariam.zaqariashvili@tesau.edu.ge)

ნაშრომში განხილულია ელექტრონული სწავლების პრაქტიკული საკითხები. კვლევის ინსტრუმენტად შერჩეულია უფასოდ გავრცელებადი სწავლების მართვის ღია სისტემა Moodle LMS (Learning Management System). წარმოდგენილია სისტემის ძირითადი პედაგოგიური და ტექნოლოგიური ასპექტები. სახელდობრ, Moodle LMS-ის ლოკალურ ინტერნეტ სივრცეში ინსტალაციისათვის საჭირო აუცილებელი განმარტებები (დამხმარე პრეზენტაციები - ინსტრუქცია N1 - „Moodle -LMS ინსტალაცია ლოკალურ სერვერზე“; ინსტრუქცია N2 – „Moodle – LMS პორტალი ლოკალურ სერვერზე“; ინსტრუქცია N3 – „IP ინტერნეტ ლოკალური მისამართი“ ).

მოცემულია რეკომენდაციები სასწავლო კურსის მნიშვნელოვანი აქტივობის, ადაპტირებული „ლექციის“ Lesson დაგეგმვისა და აგების საფეხურების შესახებ (დამხმარე პრეზენტაცია - ინსტრუქცია N4 „ადაპტირებული ლექცია“ ). ადაპტირებული ლექციის მოდელის აგების პროცესი ნაჩვენებია სასწავლო კურსისათვის „**ვებტექნოლოგიების საფუძვლები HTML&CSS**“ .

წარმოდგენილია მასწავლებლისა და სტუდენტის პოზიციები Moodle-LMS ლოკალურ სერვერულ გარემოში. (დამხმარე პრეზენტაცია - ინსტრუქცია N5 – „Moodle-ს აუდიტორია“ )

განხილულია პრაქტიკული მოდელის „Moodle-ს აუდიტორიაში“ აქტივობა „ლექციის“ გამოყენების უპირატესობები ტრადიციულ აუდიტორიასთან შედარებით, როგორც სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის, ასევე, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის რეალიზებისათვის ლოკალური ასინქრონული ჩართულობის პირობებში.

სტუდენტებზე დაკვირვების, ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ „Moodle-ს აუდიტორია“ აქტიურებს სტუდენტთა სწავლას, ახდენს მათ დაინტერესებას სასწავლო კურსის დასაუფლებლად. ასეთი სწავლა სახალისოა. ინტერესით აგრძელებენ სხვადასხვა თემების შესწავლას დამოუკიდებლად. ითხოვენ ანალოგიური ფორმატით სასწავლო კურსების წარდგენას, რაც ადასტურებს Moodle – LMS სისტემის სასწავლო პროცესში გამოყენების წარმატებულობას, აუცილებლობას და აქტუალობას.

ნაშრომში წარმოდგენილ ინსტრუქციებს ახლავს ნაშრომის ავტორის მიერ მომზადებული დამხმარე საპრეზენტაციო რესურსების - ინსტრუქციების გაზიარების ბმულები, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დეტალურად გაეცნოს საჭირო ინფორმაციას ([https://drive.google.com/drive/folders/1sM4\\_9fZ1QIYW13iGyNK\\_-WC6cTG\\_NWpJ?usp=sharing](https://drive.google.com/drive/folders/1sM4_9fZ1QIYW13iGyNK_-WC6cTG_NWpJ?usp=sharing)).

ნაშრომს საფუძვლად დაედო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების დანერგვისა და ტრენინგების ფარგლებში მიღებული გამოცდილება.

**საკვანძო სიტყვები:** Moodle, LMS, ადაპტირებული ლექცია LESSON, ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

## Electronic Learning Practice MOODLE -LESSON

**Mariam Zakariashvili**

Associate Professor, Iakob Gogebashvili Telavi State University  
Mathematics and Computer Technology Teacher, Telavi N5 Public School  
Telavi, Georgia  
[mariam.zaqariashvili@tesau.edu.ge](mailto:mariam.zaqariashvili@tesau.edu.ge)

This work discusses the practical aspects of Electronic Learning. Moodle LMS (Learning Management System), which is an open teaching system and is available free of charge, has been chosen as a research tool. The main pedagogical and technological aspects of the system are presented here.

Specifically, the essential instructions required for installing Moodle LMS in a local internet environment are provided (supporting presentations: InstructionN1 – "[Moodle LMS Installation on a Local Server](#)"; InstructionN2 – "[Moodle LMS Portal on a Local Server](#)"; InstructionN3 – "[IP Internet Local Address](#)").

Recommendations are provided for planning and structuring the key learning activity, the adapted "Lesson," in a course (supporting presentation: InstructionN4 – "[Adapted Lesson](#)"). The process of building the adapted lesson model is demonstrated using the course "Fundamentals of Web Technologies: HTML & CSS."

The roles of the teacher and student in the Moodle LMS local server environment are presented (supporting presentation: InstructionN5 – "[Moodle Classroom](#)").

The advantages of using the "Lecture" activity in the practical model "Moodle Classroom" are discussed in comparison to the traditional classroom. These advantages include enhancing students' active participation in the learning process and facilitating independent work through local asynchronous engagement.

Observations and interviews with students have confirmed that the "Moodle Classroom" enhances student engagement, stimulates interest in mastering the course, and makes learning enjoyable. Students continue exploring various topics independently with enthusiasm and request the presentation of other courses in a similar format. This confirms the effectiveness, necessity, and relevance of using the Moodle LMS system in the learning process.

The instructions presented in the paper are accompanied by links to supporting presentation resources prepared by the author, allowing readers to access detailed information as needed ([https://drive.google.com/drive/folders/1sM4\\_9fZ1QIYW13iGyNK-WC6cTG\\_NWpJ?usp=sharing](https://drive.google.com/drive/folders/1sM4_9fZ1QIYW13iGyNK-WC6cTG_NWpJ?usp=sharing)).

The paper is based on the experience gained from the implementation of e-learning and training sessions conducted within the educational process with students and faculty at Telavi State University.

**Keywords:** Moodle; LMS; adapted lesson; asynchronous e-learning.

## უცხოური ენის ლინგვოკულტურული ასპექტები

### ეკატერინე ვაწაძე

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,  
მოწვეული ლექტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ქუთაისი, საქართველო  
[eka.vatsadze@unik.edu.ge](mailto:eka.vatsadze@unik.edu.ge)

უცხოური ენის შესწავლა არ გულისხმობს მხოლოდ ამ ენის ლექსიკის, გრამატიკის, კითხვის, მოსმენის, წერის და საუბრის უნარების დაუფლებას. ენა ცოცხალი ორგანიზმია და გამოხატავს ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანების მენტალობას, კულტურას, ყოფით ნორმებს. ენის უპირველესი როლის - კომუნიკაციის დასამყარებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასაუბრო ეტიკეტის, კლიშეების, ტაქტის, ფატიკური გამონათქვამების და თემების ცოდნას. ამიტომ შემსწავლელისთვის მათი ცოდნა არსებით ხასიათს ატარებს. ნაშრომის მიზანია დადგინდეს მილოცვის/დალოცვის გამომხატველი ფატიკური გამონათქვამების ფუნქციობის თავისებურებანი ინგლისური და ქართული სამეტყველო სიტუაციის ასპექტების გათვალისწინებით; გამოვლენილ იქნეს უნივერსალიები; დადგინდეს იზომორფიზმები და ალომორფიზმები მილოცვის/დალოცვის გამომხატველი ფატიკური გამონათქვამების ფუნქციობის პრინციპებში ორ არამონათესავე ენას შორის - ინგლისურსა და ქართულში.

ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი ამოცანები: შესწავლილია ფატიკური კომუნიკაციის არსი; შედგენილია საკვლევი კორპუსი მხატვრული ლიტერატურის მასალაზე დაყრდნობით, რომლის ბაზაზე შესწავლილია მილოცვის/დალოცვის გამომხატველი ფატიკური გამონათქვამების თავისებურება და ხდება მათი ფუნქციობის შეპირისპირება შინაარსობრივ და გამომხატულების პლანში ჯ. ლიჩის და რ. ლეიკოფის თავაზიანობის მაქსიმების ჭრილში საანალიზო ენებში.

კვლევას აქვს თვისობრივი, ჰერმენევტიკული ხასიათი და დაეფუძნა ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომებს, რაც შეპირისპირების ეფექტურად განხორციელებისა და მიღებული შედეგებით საკვლევი ობიექტის ფუნქციობის თავისებურებების დადგენის საშუალება გახდა ორ ენაში - ინგლისურსა და ქართულში.

საკვლევი მასალად აღებულია თანამედროვე ინგლისური და ქართული პროზაული ნაწარმოებიდან შერჩეული მაგალითები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მილოცვისა და დალოცვის გამომხატველი თავაზიანი ფატიკური გამონათქვამები ინგლისურ და ქართულ ენაში დიდ მსგავსებას ავლენენ შინაარსის პლანში, თუმცა ასიმეტრია ფიქსირდება გამონათქვამების სახეობებსა (ქართულში მეტია) და გამომხატულების პლანში. ქართული მილოცვისა და დალოცვის გამომხატველი ფატიკური გამონათქვამების უმეტესობა ემოციური და ექსპრესიულია. ისინი „დადებითი თავაზიანობის სტრატეგიებს“ ეფუძნება და მსმენელის მიმართ მეტ სიახლოვესა და სითბოს გამოხატავს. მათში ჭარბობს რ. ლეიკოფის მეგობრობისა და ჯ. ლიჩის თანაგრძნობის მაქსიმა, ხოლო ინგლისური ეკვივალენტები ტაქტზე და მსმენელის პირადი სივრცის პატივისცემაზეა ორიენტირებული. ისინი ლაკონიური და ნაკლებად ექსპრესიული.

**საკვანძო სიტყვები:** ლინგვოკულტურული, ფატიკური, მილოცვა, დალოცვა, შეპირისპირება.



## Linguacultural Aspects of a Foreign Language

**Ekaterine Vatsadze**

*Doctor of Philology, Professor, Kutaisi University,  
Associate Professor, Caucasus International University,  
Invited Lecturer, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia  
[eka.vatsadze@unik.edu.ge](mailto:eka.vatsadze@unik.edu.ge)*

Learning a foreign language does not only involve mastering its vocabulary, grammar, reading, listening, writing, and speaking skills. A language is a living organism that reflects the mentality, culture, and social norms of its speakers. For effective communication, that is the primary function of language—it is crucial to understand conversational etiquette, clichés, tact, phatic expressions, and common topics. Therefore, acquiring this knowledge is essential for language learners.

The aim of this study is to determine the functional peculiarities of phatic expressions used for greetings and blessings in English and Georgian spoken contexts, to identify universals, and to establish isomorphism and allomorphy in the principles of their functioning in these two unrelated languages.

The study sequentially addresses the following tasks:

- Examining the essence of phatic communication.
- Compiling a research corpus based on literary sources.
- Analyzing the characteristics of phatic expressions for greetings and blessings and comparing their functions in terms of content and expression, based on the politeness maxims proposed by G. Leech and R. Lakoff.

The research follows a qualitative, hermeneutic approach and is based on linguo cultural methodologies. This approach enables an effective comparative analysis and helps determine the specific functional characteristics of the studied expressions in English and Georgian.

The research material consists of examples selected from contemporary English and Georgian prose.

The findings reveal that polite phatic expressions used for greetings and blessings in English and Georgian demonstrate significant similarities in terms of content. However, asymmetry is observed in the types and forms of expressions (Georgian has more variations). Georgian phatic expressions for greetings and blessings are mostly emotional and expressive, based on "positive politeness strategies," and convey warmth and closeness to the listener. They predominantly reflect Lakoff's maxim of camaraderie and Leech's maxim of sympathy. On the other hand, English equivalents are more focused on tact and respect for the listener's personal space. They are concise and less expressive.

**Keywords:** linguacultural, phatic, greeting, blessing, comparison.

## განათლების მომავალი: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განათლებაში

### ელენა პარნარძიევა სტანოევსკა

ასისტენტი-პროფესორი, ბალკანეთის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სკოპიე, ჩრდილოეთ  
მაკედონიის რესპუბლიკა  
[elena.parnardzieva@ibu.edu.mk](mailto:elena.parnardzieva@ibu.edu.mk)

ბოლო წლებში გენერაციული ხელოვნური ინტელექტი აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე ტრანსფორმაციული ტექნოლოგია სხვადასხვა ინდუსტრიაში, რომელიც ცვლის ოპერაციებს, აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას და ხელს უწყობს ინოვაციას. განათლებაც ასევე მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციით. როგორც ძლიერი ინსტრუმენტი, იგი აუმჯობესებს ტრადიციულ სწავლებას და გარდაქმნის საგანმანათლებლო მოდელებს, ხდის სწავლას უფრო პერსონალიზებულს, ხელმისაწვდომსა და ეფექტურს. ადრე მხოლოდ კვლევით ლაბორატორიებში გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი ახლა ცვლის საკლასო ოთახებს და ქმნის სწავლისა და სწავლების ახალ გზებს. მისი პოტენციალი უზარმაზარია, მაგრამ ძალასთან ერთად მოდის პასუხისმგებლობა, გამოვიყენოთ იგი გონივრულად.

ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ ზემოქმედებს ხელოვნური ინტელექტი განათლებაზე, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პერსპექტივებიდან და რა შეიძლება მოიტანოს მომავალში. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გადაჭრას განათლების დღევანდელი ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა, შექმნას ინოვაციური სწავლებისა და სწავლის პრაქტიკა და დააჩქაროს პროგრესი მეოთხე მდგრადი განვითარების მიზნისკენ. უფრო მეტიც, ის ხელს უწყობს ადმინისტრაციულ ეფექტურობას, აავტომატიზებს ისეთ დავალებებს, როგორიცაა შეფასება, დაგეგმვა და მონაცემთა ანალიზი, რაც პედაგოგებს საშუალებას აძლევს მეტად ფოკუსირდნენ ინტერაქტიურ და მნიშვნელოვან სწავლებაზე. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სწრაფი პროგრესი წარმოადგენს როგორც უპრეცედენტო შესაძლებლობებს, ასევე რთულად დასაძლევ გამოწვევებს განათლებაში. დაახლოებით სამოცი წელი დასჭირდა ვიწრო ხელოვნური ინტელექტიდან გაძლიერებულ ვიწრო ხელოვნურ ინტელექტზე გადასვლას, მაგრამ ათ წელზე ნაკლები დასჭირდა დიდი ენობრივი მოდელების განვითარებას, რომლებიც შედგება მილიარდობით პარამეტრისგან და შეუძლია ერთზე მეტი ამოცანის შესრულება. აქედან გამომდინარე, ისეთი გამოწვევები როგორიცაა ბალანსირებული ადამიანურ-ხელოვნური ინტელექტის ურთიერთქმედების საჭიროება, მონაცემთა კონფიდენციალურობა და კიბერუსაფრთხოების საკითხები, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, მიკერძობისა და დისკრიმინაციის შესაძლებლობა, ეთიკური მოსაზრებები და რეგულაციების შესაბამისობა, ფრთხილად უნდა იქნას გათვალისწინებული გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განხორციელებისას განათლების პროცესში.

ხელოვნურ ინტელექტს დიდი პერსპექტივა აქვს მომავლისთვის და მზადაა რევოლუციური ცვლილებები შეიტანოს განათლებაში, უფრო პერსონალიზებული, რეაგირებადი და მასშტაბური სასწავლო გარემოს შექმნით. იგი უნდა იქნას გამოყენებული არა პედაგოგების ჩასანაცვლებლად, არამედ მათი გაძლიერებისთვის და არა თაღლითობისა თუ პლაგიატისთვის, არამედ კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებისთვის. როგორც პედაგოგები, ასევე სტუდენტები მას უნდა განიხილავდნენ არა როგორც პრობლემას, არამედ როგორც გადაწყვეტას. ამ მიმართულებით პედაგოგებმა, პოლიტიკის შემქმნელებმა და ტექნოლოგებმა უნდა ითანამშრომლონ პასუხისმგებლობით, რათა უზრუნველყონ მისი ეთიკური და სამართლიანი გამოყენება, შექმნან მომავალი, სადაც ტექნოლოგია აძლიერებს და არა ანაცვლებს სწავლებისა და სწავლის უფასო ადამიანურ ელემენტებს.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, განათლება, გენერაციული ხელოვნური ინტელექტი, პედაგოგები, სტუდენტები

## The Future of Education: Unleashing AI in Education

Elena Parnardzieva Stanoevska

*Asst. Prof., International Balkan University, Skopje, Republic of North Macedonia*

[elena.parnardzieva@ibu.edu.mk](mailto:elena.parnardzieva@ibu.edu.mk)

In recent years, generative artificial intelligence has emerged as one of the most transformative technologies across various industries reshaping operations, enhancing customer experiences, and driving innovation. Education is also set to undergo a significant transformation with artificial intelligence integration. As a powerful tool, it enhances traditional learning and reshapes educational models, making learning more personalized, accessible, and efficient. Once limited to research labs, artificial intelligence is now transforming classrooms and creating new ways of learning and teaching. Its potential is vast, but with the power comes a responsibility to use it wisely.

The study explores how artificial intelligence impacts education, from both positive and negative perspectives, and what the future might hold. Artificial intelligence has the potential to address some of the biggest challenges in education nowadays, innovate teaching and learning practices, and accelerate progress towards the fourth sustainable development goal. Moreover, it facilitates administrative efficiencies, automating tasks such as grading, scheduling, and data analysis allowing educators to focus more on interactive and meaningful teaching. The fast progress of generative artificial intelligence presents both unprecedented opportunities and formidable challenges in education. It took almost sixty years to switch the narrow to enhanced narrow artificial intelligence, but less than ten years to develop and come to the Large Language models comprised of a billion parameters capable of doing more than one task. Therefore, challenges such as the need for balanced human-artificial intelligence interaction, data privacy and cyber security concerns, transparency, and accountability, potential for bias and discrimination (prevent marginalization of students lacking access to technology), ethical considerations, and regulatory compliance must be carefully addressed in generative artificial intelligence implementation within the education process.

Artificial intelligence holds great promise for the future and is poised to revolutionize education by fostering a more personalized, responsive, and scalable learning environment. It should be deployed not to replace educators but to empower them and not to be used for cheating or plagiarism but for developing critical thinking, creativity, and problem-solving. Both educators and students should regard it not as a problem but rather, as a solution. In that direction responsibly, educators, policymakers, and technologists must collaborate to ensure its ethical and equitable deployment, shaping a future where technology enhances, rather than replaces, the invaluable human elements of teaching and learning.

**Keywords:** Artificial intelligence, education, generative artificial intelligence, educators, students.

## ვირტუალური სინამდვილის გამოყენება ჰოლოკოსტის სწავლებისას

### ლაშა ჩახვაძე

ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო  
[lasha.chakhvadze@eu.edu.ge](mailto:lasha.chakhvadze@eu.edu.ge)

### ნონა ჭანტურია

ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო  
[nona.chanturia@gruni.edu.ge](mailto:nona.chanturia@gruni.edu.ge)

კვლევის მიზანია აჩვენოს ჰოლოკოსტის სწავლებისას ვირტუალური სინამდვილის ტექნოლოგიების გამოყენების დადებითი მხარეები, კერძოდ, გადარჩენილთა ჩვენებებითა და სტუდენტების მოწმებთან ვირტუალური ინტერვიუებით სწავლებისას.

კვლევის ძირითად მეთოდად ვიყენებთ ლიტერატურის მიმოხილვას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კვლევის თემა საკმაოდ რთული და ახალია, ეს მეთოდი დაგვეხმარა კვლევასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და სწავლების პრობლემებთან დაკავშირებით, ზოგადი სურათი დაგვენახა. დამატებით, ჩვენ ასევე გამოვიყენეთ ევრისტიკული ძიების მიდგომა, რათა ვირტუალური სინამდვილის კომპიუტერული პროგრამა გამოგვეცადა, რომელიც ვირტუალურად მოდელირებულ ჰოლოკოსტის გადარჩენილებთან ონლაინ ინტერვიუების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევამ აჩვენა, რომ ჰოლოკოსტის სწავლებისას ვირტუალური სინამდვილის ტექნოლოგიებით სარგებლობა, შედარებით ნაკლებად გამოკვლეული საკითხია. ხშირად, აქ გამოტანილი დასკვნები სხვა დისციპლინებში ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა, რომელთაც ჰოლოკოსტის სწავლების დისციპლინისგან განსხვავებული ეპისტემოლოგიური და ეთიკური მახასიათებლები შეიძლება ჰქონდეთ. კვლევის შედეგებიც იმის მიხედვით იცვლება, თუ რა მეთოდებია გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში ვირტუალური სინამდვილის ტექნოლოგიების დადებითი გავლენების შესახებ ემპირიულად და სტატისტიკურად მდიდარი კვლევის მონაცემები ჯერ კიდევ მწირია, მაინც ცხადია, რომ პედაგოგიური თვალსაზრისით, ამ ტექნოლოგიების გამოყენება უფრო მეტად სასარგებლოა, ვიდრე პირიქით.

როგორც კვლევების შედეგები აჩვენებენ, ვირტუალური სინამდვილის ტექნოლოგიებით სარგებლობამ ჰოლოკოსტის სწავლებისას, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით სწავლების დროს, შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სტუდენტების მიერ ჰოლოკოსტის მოვლენების გააზრება და მათში მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობა განავითაროს, შესაბამისად, ხელი შეუწყოს საგნის სწავლებას კოგნიტიური და ემოციური კუთხით.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ვირტუალური სინამდვილის ჰოლოკოსტის სწავლებაში გამოყენების შესახებ კვლევებში გარკვეული ხარვეზები და უკმარისობა არსებობს, რეკომენდებულია, ვირტუალური რეალობის გამოყენება სასწავლო პროცესში მხოლოდ მას შემდეგ დავიწყოთ, როცა სტუდენტებს მანამდე წინასწარ მივაწვდით შესაბამის გზამკვლევას და კონტექსტურ ინფორმაციას ამ ტექნოლოგიებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ვირტუალური სინამდვილე, ჰოლოკოსტის სწავლება, გადარჩენილთა ჩვენებები, წინასწარი გზამკვლევი.

## Use of Virtual Reality in Holocaust Education

**Lasha Chakhvadze**

*Associate Professor, Faculty of Business and Technology, European University, Tbilisi, Georgia*  
[lasha.chakhvadze@eu.edu.ge](mailto:lasha.chakhvadze@eu.edu.ge)

**Nona Chanturia**

*Associate Professor, School of Humanities and Social Sciences, Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia*  
[nona.chanturia@gruni.edu.ge](mailto:nona.chanturia@gruni.edu.ge)

The research aims to show the benefits of using Virtual Technologies (VR) in Holocaust education in general and, specifically, in teaching with survivor testimonies and student-survivor interviews supported by VR technologies.

We use a literature review as a primary research method. As the research topic is quite complex and new, the method helped us see the big picture of the research-related technical and educational problems. Additionally, we also have used heuristic inquiry to test a VR application related to the online interviews with virtually simulated Holocaust survivors.

The investigation has shown that using VR in Holocaust education is relatively less researched, and the conclusions are often drawn from the research outcomes of other disciplines, which may have different epistemological and ethical traits than those of Holocaust education. The research results also vary according to the methods used. Despite the scarcity of empirically and statistically abundant research about the positive effects of VR in the field, it is still evident that there are more pedagogically beneficial effects of using VR in Holocaust education than on the contrary.

The research outcomes show that using VR in Holocaust education and, namely, in survivor testimony pedagogy, can significantly improve students' understanding of the Holocaust events and develop empathy towards the victims, thus supporting both cognitive and affective aspects of learning on the subject.

Considering existing research gaps and inefficiencies related to the use of VR in Holocaust education, it is recommended that students be provided with preliminary guidance and contextual information before using VR in the learning process.

**Keywords:** virtual reality, Holocaust education, survivor testimonies, preliminary guidance.

## 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ეკონომიკური ეფექტების შეფასება სინთეზური კონტროლის მეთოდის გამოყენებით

აკაკი მოსახლიშვილი

ასისტენტ-პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო  
[akaki.mosakhlishvili@unik.edu.ge](mailto:akaki.mosakhlishvili@unik.edu.ge)

ომითა და სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის შეფასება ერთ-ერთი კრიტიკული გამოწვევაა ემპირიულ ლიტერატურაში. რუსეთის მიერ ინიცირებული ჰიბრიდული ომი, რომელიც გაგრძელდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ძალის შემოყვანით, საინტერესო შემთხვევის შესწავლის საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანი თანმხლები შოკი, გლობალური ფინანსური კრიზისი, ართულებს ამ საკითხის ანალიზს. სინთეზური კონტროლის მეთოდის გამოყენებით, ომით გამოწვეული უარყოფითი საშუალოვადიანი ეფექტი შეფასებულია მშპ-ს 12-14%-ით. ომის გარეშე, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი \$300-ით ან მეტით მაღალი იქნებოდა.

მოკლევადიან ეფექტთან დაკავშირებით, ვინაიდან ომმა ხელი შეუწყო საერთაშორისო საზოგადოების მიერ ფინანსური მხარდაჭერის მობილიზებას, მოკლევადიან პერიოდში (ომის შემდგომ საწყის ორ კვარტალში) მკვეთრი ეკონომიკური ვარდნა არ შეინიშნება.

დამატებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ომის უარყოფითი ეფექტი სტატისტიკურადაც მნიშვნელოვანია.

**საკვანძო სიტყვები:** აგვისტოს ომი, რუსეთ-საქართველოს ომი, ეკონომიკური ეფექტები, გლობალური ფინანსური კრიზისი, სინთეზური კონტროლის მეთოდი.

## Estimating the Economic Effects of the 2008 Russia-Georgia War Using the Synthetic Control Method

**Akaki Mosakhlshvili**

*Assistant professor, Kutaisi University, Kutaisi, Georgia*

[akaki.mosakhlshvili@unik.edu.ge](mailto:akaki.mosakhlshvili@unik.edu.ge)

Assessing the economic damage caused by war and military conflict is one of the critical challenges in empirical literature. The hybrid war initiated by Russia and continued with the introduction of military force on Georgian territory in August 2008 presents an interesting case study.

A significant concurrent shock, the global financial crisis, complicates the analysis of this issue. Using the synthetic control method, the negative medium-term effect caused by the war is estimated at 12-14% of GDP. Without war, per capita income in Georgia would have been higher by \$300 or more.

Regarding the short-term effect, as the war facilitated the mobilization of financial support from the international community, no sharp economic decline is evident in the short term (in the initial two quarters after the war).

Additional analysis revealed that the negative effect of the war is also statistically significant.

**Keywords:** August war; Russia-Georgia war; economic effects; global financial crisis; synthetic control method.



## ხელოვნური ინტელექტის უმაღლეს განათლებაში ჩართვა შრომის ბაზრის გამოწვევა

დიანა უგლავა

ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო  
[Diana.uqlava@unik.edu.ge](mailto:Diana.uqlava@unik.edu.ge)

დეზდემონა მაღლაკელიძე

ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო  
[Dezdemona.maghlakelidze@atsu.edu.ge](mailto:Dezdemona.maghlakelidze@atsu.edu.ge)

დღევანდელ რეალობაში შეუძლებელია უმაღლეს განათლებაში ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი უნარების მქონე პირთა მომზადება. ხელოვნური ინტელექტი განათლებაში (AIED) წარმოადგენს 1980-იან წლებში დამკვიდრებულ კვლევით მიმართულებას, რომელიც ძირითადად სწავლობს განათლების მხარდამჭერი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს. ტექნოლოგიების ჩართვას განათლებაში დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყნები, რადგან მათი მეშვეობით სასწავლო პროცესი გაცილებით მრავალფეროვანი და მიმზიდველი ხდება სტუდენტებისათვის. ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ერთ-ერთი ეფექტური თვალსაჩინოებაა, რაც ადვილად აღსაქმელსა და გასაგებს ხდის მიწოდებულ ინფორმაციას. კვლევების გაცნობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე სწავლა-სწავლების პროცესი ტექნოლოგიების გარეშე ნაკლებ საინტერესო და მიმზიდველია, ამიტომ მისი ხელმისაწვდომობისა და განათლებაში ინტეგრაციის საკითხები მეტად აქტუალურია.

შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარების ცვლილება, რომელიც უკავშირდება არსებულ ან ახალ პროფესიებს, კიდევ უფრო მეტად მოითხოვს, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებაზე, დანერგვასა და გამოყენებაზე ორიენტირებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომლებიც მათ დაეხმარებათ შეძლონ ადაპტაცია შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნადი უნარების მიმართ. აღნიშნულის აუცილებლობას ადასტურებს შესრულებული კვლევები, რომლის თანახმად ჩვენს ქვეყანაში საწარმოთა დაახლოებით მეხუთედი ინვესტიციების ჩადებას აპირებს თანამედროვე ტექნოლოგებში, რომლის მიმართულებებს შორის დასახელდა ხელოვნური ინტელექტის და ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს პროცესების მართვის თანამედროვე სისტემები, ამ უკანასკნელიდან ერთ-ერთია თანამედროვე ტიპის ბუღალტრული სისტემები.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, შრომის ბაზარი, ტექნოლოგიები, უმაღლესი განათლება.



## Incorporating Artificial Intelligence into Higher Education Is a Labour Market Challenge

**Diana Uglava**

*Associate Professor, Kutaisi University, Kutaisi, Georgia*

[Diana.uglava@unik.edu.ge](mailto:Diana.uglava@unik.edu.ge)

**Dezdemona Maghlakelidze**

*Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

[Dezdemona.maghlakelidze@atsu.edu.ge](mailto:Dezdemona.maghlakelidze@atsu.edu.ge)

In today's reality, it is impossible to train individuals with skills that meet the demands of the labour market without the use of technology in higher education. Artificial Intelligence in Education (AIED) is a research area established in the 1980s that primarily studies artificial intelligence tools supporting education. Various countries are paying great attention to the inclusion of technology in education, as it makes the learning process much more diverse and attractive for students. The use of information and communication technologies is one of the effective means of visualization, which makes the information provided easy to understand and comprehend. As a result of studying different research materials, we can conclude that the modern learning and teaching process is less interesting and attractive without technology, therefore the issues of its accessibility and integration into education are very relevant.

The change in skills required in the labor market, related to existing or new occupations, makes it even more urgent that people should have knowledge, skills and values focused on the development, implementation and use of artificial intelligence technologies, which will help them to adapt to the new skills in demand in the labour market. The necessity of this is confirmed by studies conducted, according to which approximately one-fifth of enterprises in our country intend to invest in modern technologies, among which the development of artificial intelligence and cloud infrastructure, modern business process management systems, one of the latter being modern accounting systems, were named.

**Keywords:** Artificial intelligence, labour market, technologies, higher education.

## ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება ინგლისურის, როგორც უცხო ენის შესწავლის პროცესში საქართველოს უსდ-ების პრაქტიკაზე დაყრდნობით

### თამარ დოლიძე

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო

[tm.dolidze@bsma.edu.ge](mailto:tm.dolidze@bsma.edu.ge)

### ნათია ვასაძე

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბათუმი, საქართველო

[n.vasadze@bsma.edu.ge](mailto:n.vasadze@bsma.edu.ge)

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ჩართვის პოტენციალსა და გამოწვევებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ინგლისურის, როგორც უცხო ენის (EFL) სწავლების პროცესში. თანამედროვე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით, ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) სწრაფი განვითარების წყალობით, ენის სწავლების გამოცდილების გაუმჯობესების ახალი შესაძლებლობები იხსნება.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია AI-ზე დაფუძნებული ენის სწავლების პლატფორმების პოტენციურ უპირატესობებზე, მათ შორის ავტომატური შეფასების, ადაპტირებული სასწავლო გზებისა და პერსონალიზებული გამომწერების შესაძლებლობებზე. აღნიშნული ფუნქციები მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტთა ჩართულობას, ხელს უწყობს სწავლების პერსონალიზაციას თითოეული მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად და საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, მეტი დრო დაუთმონ კომპლექსურ პედაგოგიურ პროცესებს.

კვლევა შეისწავლის ხელმისაწვდომ რესურსებს, არსებულ პრაქტიკასა და პოტენციურ გამოწვევებს, რაც ხელს შეუწყობს AI-ის ეფექტურ ინტეგრაციას ქართულ EFL განათლებაში. ძირითადი დაბრკოლებები მოიცავს ტექნოლოგიებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, მასწავლებელთა არასაკმარის მომზადებასა და მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ეთიკური საკითხებისადმი არსებულ შეშფოთებას. კვლევის მიზანია EFL-ის სწავლების პროცესში AI-ის ეფექტური გამოყენების საფუძვლიანი ჩარჩოს შეთავაზება, რომელიც აერთიანებს როგორც პედაგოგიურ, ასევე ტექნოლოგიურ ასპექტებს.

კვლევა ხაზს უსვამს ადამიანზე ორიენტირებული მიდგომის მნიშვნელობას, რომელშიც მასწავლებლებს ეკისრებათ სტუდენტთა სწავლების პროცესში მხარდაჭერისა და მიმართულების განსაზღვრის ძირითადი როლი. დასკვნაში გამოკვეთილია თანამშრომლობის აუცილებლობა, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები, პოლიტიკის შემქმნელები და ტექნოლოგიების დეველოპერები ერთობლივად უზრუნველყოფენ AI ტექნოლოგიების წარმატებულ ინტეგრაციას EFL სწავლების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ინგლისური როგორც უცხო ენა, სტუდენტთა ჩართულობა, სტუდენტთა ავტონომია.

## A Case Study of Georgia's Higher Education System on the Integration of Artificial Intelligence Tools in English as a Foreign Language Education

**Tamar Dolidze**

*Doctor, Associate Professor, Batumi State Maritime Academy, Batumi, Georgia*

[Tm.dolidze@bsma.edu.ge](mailto:Tm.dolidze@bsma.edu.ge)

**Natia Vasadze**

*Doctor, Associate Professor, Batumi State Maritime Academy, Batumi, Georgia*

[n.vasadze@bsma.edu.ge](mailto:n.vasadze@bsma.edu.ge)

This study examines the potential and challenges of incorporating artificial intelligence (AI) tools into English as a Foreign Language (EFL) instruction in Georgian higher education institutions. The rapid advancements in AI technology, particularly in the field of natural language processing, have created new opportunities to enhance language learning experiences.

This presentation explores the potential benefits of AI-powered language learning platforms, with a particular focus on their ability to provide automated assessment, adaptive learning pathways, and personalized feedback. These features have the potential to significantly enhance student engagement, tailor instruction to individual needs, and allow teachers to allocate more time to complex pedagogical tasks.

To better understand the adoption of AI in Georgian EFL education, the study investigates the available resources, current practices, and potential implementation challenges. Key concerns include limited access to technology, insufficient teacher training and professional development, and data privacy and ethical considerations. In response to these challenges, the study aims to bridge this gap by proposing a comprehensive framework for the effective integration of AI in EFL instruction, addressing both pedagogical and technological aspects. This framework, grounded in a human-centered approach, underscores the critical role of teachers in guiding and supporting students throughout their learning journeys.

To ensure the smooth and effective integration of AI technologies in EFL instruction, the study concludes by emphasizing the need for collaborative efforts among educators, policymakers, and technology developers.

**Keywords:** AI tools, EFL instruction, student engagement, student autonomy.

## მდგრადი განვითარების საკითხების მულტიმოდალური სწავლება ინგლისური ენის გაკვეთილზე

ქრისტინე ჭოხონელიძე

ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

[kristine.tchokhanelidze@unik.edu.ge](mailto:kristine.tchokhanelidze@unik.edu.ge)

მდგრადი განვითარება გლობალური მნიშვნელობის საკითხია. მისი განათლებაში, განსაკუთრებით კი, ინგლისური ენის სწავლება-სწავლებაში ინტეგრაცია ხელს უწყობს სტუდენტებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას. ამ საკითხების სწავლება ეხმარება სტუდენტებს გლობალური პრობლემებისა და მათი, როგორც გლობალური მოქალაქეების პასუხისმგებლობის გააზრებაში. ამასთან, რეალურ პრობლემებზე მუშაობა სწავლას უფრო აქტუალურსა და საინტერესოს ქმნის, ხოლო აღნიშნული საკითხების მულტიმოდალური სწავლება ამდიდრებს ენის შემსწავლელების ლექსიკურ მარაგს და ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, მულტიმოდალური კომუნიკაციისა და პრობლემების გადაჭრის უნარებს სამიზნე ენაზე.

მულტიმოდალური მიდგომა სწავლების პროცესის გასამდიდრებლად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას – ვიზუალურს, აუდიოს და სხვ. ეს მეთოდი გაკვეთილის გარემოს რეალურ ცხოვრებასთან აახლოებს, სადაც აუცილებელია ინფორმაციის ვიზუალიზაცია და წარმოდგენა. შესაბამისად, სტუდენტები ივითარებენ მულტიმოდალურ საკომუნიკაციო უნარებს, რაც ეხმარება მათ მდგრადობის რთული ცნებების უკეთ გაგებაში. მულტიმოდალური სწავლება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას რეალურ გამოწვევებში. მაგალითად, შეიძლება დაიგეგმოს გაკვეთილი გარემოს დაბინძურების, გლობალური დათბობის ან სიღარიბის თემატიკის ირგვლივ, სადაც პროექტზე დაფუძნებული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნება სტატიები, ვიდეოები, პოდკასტები და სხვა მულტიმოდალური რესურსები.

ნაშრომი განიხილავს მდგრადი განვითარების საკითხების მულტიმოდალური სწავლების გზით ინტეგრაციის დადებით შედეგებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინგლისური ენის B2 დონეზე სწავლებისას. კვლევის მიზანია გამოცდილების გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს ენისა და გარემოსდაცვის, ასევე სხვა დაკავშირებული სფეროების მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. ინტერდისციპლინური მიდგომა უზრუნველყოფს მდგრადობის კომპლექსურ გააზრებას და ხელს უწყობს მულტიმოდალური სწავლების ეფექტიანობის შეფასების მეთოდების შემუშავებას.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისობრივი ანალიზის მეთოდი, რის შედეგადაც გაანალიზდა მდგრადობის საკითხების მულტიმოდალური სწავლების შედეგები ინგლისური ენის გაკვეთილების ფარგლებში. კერძოდ, დაკვირვება ჩატარდა ინგლისური ენის B2 დონის ჯგუფზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუები მასწავლებლებთან, სტუდენტების უკუკავშირი და სამიზნე ჯგუფების უშუალო დაკვირვება სწავლის შედეგების უკეთ გამოვლენის მიზნით.

კვლევის ზოგადი შედეგები დადებითი აღმოჩნდა. კერძოდ, სტუდენტებმა:

- გაიუმჯობესეს ზოგადი ენობრივი უნარ-ჩვევები; მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებული ლექსიკა, მათ შორის: “carbon footprint”, “renewable resources”, “environmental impact” და სხვ.
- განივითარეს მულტიმოდალური კომუნიკაციის უნარები, როგორცაა ინფორმაციის ვიზუალიზაცია და წარმოდგენა;
- გამოავლინეს მეტი ჩართულობა და მოტივაცია, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო მდგრადი განვითარებასთან დაკავშირებული თემატიკის აქტუალობით და მულტიმოდალური მიდგომით.

ამრიგად, მდგრადი განვითარების საკითხების მულტიმოდალური სწავლება ინოვაციური სასწავლო პრაქტიკაა, რომელიც თვალსაჩინოდ უწყობს ხელს სწავლის დადებით შედეგებს უმაღლესი სასწავლებლის ინგლისური ენის B2 დონის სტუდენტებში.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, ინგლისური ენის სწავლება, მულტიმოდალობა.

## Sustainability in ELT from Multimodal Perspective

**Kristine Tchokhonelidze**

*Associate Professor, Kutaisi University, Kutaisi, Georgia*

[kristine.tchokhonelidze@unik.edu.ge](mailto:kristine.tchokhonelidze@unik.edu.ge)

Sustainability refers to practices that preserve environmental, economic and social resources over the long term, so that they remain available and beneficial for future generations. In the context of English language teaching (ELT), it involves integrating environmental, economic, and social sustainability topics into the language teaching practice. Sustainability is a crucial global issue, and integrating it into education, namely, in ELT, contributes to raising awareness and fostering sustainable practices among learners alongside with language study - teaching sustainability helps students understand global issues and their responsibilities as global citizens. Moreover, incorporating real-world issues makes learning more relevant and engaging and finally, multimodal approach to teaching sustainability topics expands vocabulary and improves multimodal communication, critical thinking and problem-solving skills in the target language.

Multimodal teaching uses various modes of communication e.g., visual, auditory, aural etc. to enhance learning. It makes the classroom similar to real-life situations, which involve the skills of viewing and representing outside the classroom. This kind of teaching ensures students develop multimodal communication skills that help them understand complex sustainability concepts better. Correspondingly, teaching sustainability from multimodal perspective helps students engage with real sustainable challenges by, for example, presenting a lesson plan on the impact of pollution/homelessness using articles, videos, podcasts or other multimodal resources using a project-based activity.

The paper presents the benefits and challenges of implementing sustainable issues into a Georgian HEI curriculum through multimodal teaching at B2 level. It aims at sharing practices and experience to encourage collaboration between language teachers and experts in environmental science, technology, and other relevant fields. Interdisciplinary approach provides a comprehensive understanding of sustainability as well as develop methods to assess the effectiveness of multimodal approaches in teaching sustainability. This includes student feedback, performance on projects, and the ability to discuss sustainability topics in English.

As a part of a descriptive research, the method of qualitative classroom observation provided the insights into the ways of implementing the topic in question through multimodal teaching in the language classes. The observation on B2 CEFR level English Group at HEI multimodal teaching of sustainability, which included interviews with teachers, feedback from students and direct observation on focus groups made it possible to better understand the learning outcomes.

The overall impact seemed to be positive. Namely, students:

- demonstrated improved sustainability vocabulary usage and understanding, e.g. “carbon footprint”, “renewable resources”, “environmental impact”.
- enhanced multimodal skills of viewing and representing;
- seemed to have increased engagement and motivation levels which, supposedly, due to the combined influence of the importance of sustainability issues and multimodal approach.

Thus, combining multimodal teaching with sustainability creates innovative teaching practices which proved to be able to ensure positive learning outcomes among B2-level English students.

**Keywords:** sustainability issues, multimodality, ELT.

## მემკვიდრეობის სასწაული: ქართული ენის ონლაინგაკვეთილები თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის – გამოწვევები და მოსაზრებები

თინათინ მილორავა

ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, აკაკი  
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო [tinatin1milorava@gmail.com](mailto:tinatin1milorava@gmail.com)

ნათია ფუტკარაძე

ფილოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტი ტექნიკორში,  
თბილისი, საქართველო  
[natia.putkaradze@eu.edu.ge](mailto:natia.putkaradze@eu.edu.ge)

წინამდებარე კვლევის მიზანია, ქართულის, როგორც მემკვიდრეობის ენის (GHL) სწავლებისას  
გამოვლენილი სირთულეებისა და გამოწვევების აღწერა-კვალიფიცირება თურქეთის  
რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის შედგენილი დისტანციური გაკვეთილების  
მასალებზე დაყრდნობით. უფასო ონლაინკურსების ორგანიზატორია ა(ა)იპ ტარიელ ფუტკარაძის  
სახელობის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება (ინფორმაცია კურსების შესახებ იხ.  
ბმულზე [www.kartvelology.ge](http://www.kartvelology.ge)).

მემკვიდრეობის ენის სწავლების პროცესში გარკვეულ სირთულეები იჩენს თავს: ერთ-ერთი  
გამოწვევაა ენის ფლობის სხვადასხვა დონეზე მყოფი სტუდენტების მცირეკონტინგენტიანი  
ჯგუფია, იგულისხმება წერისა და მეტყველების ნულოვან, საბაზისო, საშუალო ან შედარებით  
მაღალ დონეზე ფლობა; ცალკე განხილვის საგანია მემკვიდრეობის ენის არაპრესტიჟულობა და  
სტიგმატიზაცია, რომელიც ენის მხოლოდ საშინაო, არაფორმალურ და არააკადემიურ გარემოში  
გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ცხადია, თურქულენოვან გარემოში აღზრდამ  
(განსაკუთრებით კი – დიდ ქალაქებში, მაგ., სტამბოლში), შეაფერხა მემკვიდრეობის ენის  
ათვისების პროცესი; შედეგად, ისინი ენის დაკარგვის ზღვარზე დგანან, განსხვავებით მათი  
წინაპრებისგან, „გურჯებისგან“ (თურქ.: Gürcüler), რომლებიც გადასახლებულნი იყვნენ  
საქართველოს ქობულეთის, მაჭახელის და ნიგალის რეგიონებიდან. UNESCO-ს სახელმძღვანელო  
პრინციპების თანახმად, ენა ქრება, როდესაც:

- მისი მოსაუბრეები ან ქრებიან, ან უფრო პრესტიჟულ ენაზე საუბარს იწყებენ.
- გარე ფაქტორები, როგორებიცაა სამხედრო, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული ან  
საგანმანათლებლო დაქვემდებარება, ხელს უწყობს მის გავრცელებას.
- შიდა ფაქტორები, როგორიცაა საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება საკუთარი  
ენის მიმართ, იწვევს მის მიტოვებას.

ემპირიული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მემკვიდრეობის (GHL) ენის კურსის მსმენელები  
მრავალ სირთულეს აწყდებიან მშობლიური ენის შესწავლის პროცესში, თუმცა პედაგოგის მხრიდან  
კონკრეტულ მიზანზე მორგებული შესაბამისი პრაქტიკული მიდგომის წყალობით შესაძლებელია  
გარკვეულ სირთულეთა დაძლევა, კერძოდ, სასწავლო მასალაში აღმოჩენაზე ორიენტირებული  
აქტივობების ჩართვითა და მოსწავლეთა ინტერესების, საქმიანობისა და რელიგიურ საჭიროებების  
მიხედვით შერჩეული ლიტერატურის, სტატიების, ფილმებისა თუ ინტერვიუების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** მემკვიდრეობის ენა (GHL), სირთულეები, დისტანციური სწავლება, ენობრივი  
პრესტიჟი, იუნესკოს სახელმძღვანელო პრინციპები.



## The Magic of Heritage: Georgian Language Online Classes for Ethnic Georgians Living in Turkey – Challenges and Considerations

Tinatin Milorava

*Tariel Putkaradze Scientific Research Center of Kartvelology at Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

[tinatin1milorava@gmail.com](mailto:tinatin1milorava@gmail.com)

Natia Putkaradze

*Doctor, Principal Research Fellow, Institute Techniformi,*

[natia.putkaradze@eu.edu.ge](mailto:natia.putkaradze@eu.edu.ge)

The goal of this study is to examine the challenges of teaching the heritage language to ethnic Georgians living in the Republic of Turkey who are enrolled in free Georgian language classes offered by the Tariel Putkaradze International Society of Kartvelology (see more at: [www.kartvelology.ge](http://www.kartvelology.ge)).

There are certain difficulties in the process of teaching a heritage language: one of the challenges is the small contingent of the students with different levels of language proficiency, meaning starting, basic, intermediate or relatively higher levels of reading, writing, listening and speaking; another issue of discussion is the lack of prestige and even stigmatization of the heritage language, which is associated with the use of the language only in a domestic, informal and non-academic environment. Obviously, upbringing in a Turkish-speaking environment (especially in large cities, e.g., Istanbul) has hindered the process of acquiring the heritage language; as a result, they are at the stage of losing the language, unlike their ancestors, the "Gurgis" (Turkish: Gürcüler), who were exiled from the Kobuleti, Machakheli and Nigali regions of Georgia. According to UNESCO guidelines, a language disappears when:

- Its speakers either vanish or shift to speaking a more prestigious language.
- External forces, such as military, economic, religious, cultural, or educational subjugation, contribute to its decline.
- Internal factors, such as a community's negative attitude toward its own language, lead to its abandonment.

The results of the empirical study showed that students of the heritage language (GHL) course face many difficulties in the process of learning their native language, however, thanks to the appropriate practical approach tailored to a specific goal by the teacher, it is possible to overcome particular difficulties, namely, by including discovery-oriented activities in the teaching material and using literature, articles, films, or interviews selected according to the interests, activities, and religious needs of the students.

**Keywords:** Georgian Heritage Language (GHL), challenges, distance learning, linguistic prestige, UNESCO guidelines.



## ხელოვნური ინტელექტის როლი უმაღლეს განათლებაში

### ხათუნა ბურკაძე

დოქტორი, ავილირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,  
[kburkadze@cu.edu.ge](mailto:kburkadze@cu.edu.ge)

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, დიდი მონაცემების შეგროვებამ და გლობალურმა კოვიდპანდემიამ მკაფიოდ წარმოაჩინა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების აუცილებლობა ყველა ძირითად სფეროში, მათ შორის განათლებაში, ჯანდაცვაში, სოფლის მეურნეობაში, ენერგეტიკაში, ფინანსებში, საგარეო ურთიერთობებში, უსაფრთხოებასა და სამხედრო მიმართულებებით. მეტიც, აღნიშნული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს ამ სფეროებში საქმიანობის უწყვეტობას, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, მოქალაქეების, საზოგადოების წინაშე არსებული ამოცანების განსახორციელებლად. საზოგადოებების ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების ფონზე, ციფრული ტექნოლოგიების როლი საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტის (AI) შესაძლებლობების კვლევა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რადგან AI უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ხელოვნური ინტელექტის სისტემებით შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ავტომატიზებული მიდგომების განვითარება, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების სისტემურობას, თანმიმდევრულობასა და დროულობას.

ხელოვნური ინტელექტის მახასიათებლები მიუთითებენ იმაზე, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვა განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში შესაძლებელია. AI მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ციფრული ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ავტომატიზებული მიდგომის გამოყენებით, მიიღონ დროული და თანმიმდევრული გადაწყვეტილებები. AI-ს მეშვეობით შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური მიდგომების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს განათლების უფრო ხელმისაწვდომობასა და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა განაპირობებს შემდეგი ამოცანების უკეთ განხორციელებას: 1) სწავლა-სწავლების პროცესის გამარტივებას, განსაკუთრებით დისტანციურად; 2) ჭკვიანი ასისტენტის კონცეფციის შემუშავებას, რომელიც გულისხმობს დახმარებას როგორც პროფესორებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის ინფორმაციის მოძიების, მონაცემთა დამუშავებისა და რუტინული ფუნქციების შესრულების პროცესში (ეს დახმარება აკადემიურ სტანდარტებთან უნდა იყოს შესაბამისობაში); 3) ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების შექმნას; 4) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული ამოცანების დროულად შესრულებას.

ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტის მასშტაბებისა და შესაძლებლობების ზრდის ფონზე, ეთიკურ და სამართლებრივ ჩარჩოს შეუძლია უზრუნველყოს სანდო ხელოვნური ინტელექტის კონცეფციის შემუშავება და განმარტოს ხელოვნური ინტელექტის სისტემების კანონიერი მიზნები ძირითად სფეროებში, მათ შორის განათლების პოლიტიკაში. ეს აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის უკანონო გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ასევე, ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული. ამასთან, შესაბამისი მიზნების მისაღწევად, ხელოვნური ინტელექტის სისტემები უნდა ეფუძნებოდნენ ობიექტურ ინფორმაციას. ასეთი მონაცემების დამუშავებით ისინი შეძლებენ სწორი დასკვნების გაკეთებას და ადამიანების დახმარებას სხვადასხვა ამოცანების ეფექტიანად შესრულებისას, განსაკუთრებით ავტომატიზებული მიდგომის გამოყენებით რუტინული ამოცანების განხორციელებისას, მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ტრანსფორმაცია, განათლება.

## The Role of Artificial Intelligence in Higher Education

**Khatuna Burkadze**

*Doctor, Affiliated Professor, Caucasus University, Tbilisi, Georgia*

[kburkadze@cu.edu.ge](mailto:kburkadze@cu.edu.ge)

Rapid advancements in digital technologies, big data collection, and the global COVID-19 pandemic have underscored the necessity of integrating information and communication technologies across all key sectors, including education, healthcare, agriculture, energy, finance, foreign relations, security, and military policy. Moreover, the effective utilization of these technologies ensures the continuity of activities in these areas, which significantly impacts the interests of citizens, society as a whole, and the state. Amidst the accelerating digital transformation of societies, the role of digital technologies in shaping and implementing educational policies becomes increasingly important. In this context, the examination of artificial intelligence (AI) gains particular relevance, as AI serves as a crucial tool for accelerating digital transformations within higher education institutions. AI systems are designed to develop automated approaches that facilitate systematic, consistent, and timely decision-making.

An analysis of international practices illustrates that the use of technological and innovative programs can simplify the execution of various tasks across different fields. A new education policy can be developed through the implementation of AI systems, which enable timely data processing and accelerate the decision-making process. AI has the potential to bring innovation to higher education institutions by making education more accessible and enhancing the effectiveness of the teaching and learning process.

The introduction of artificial intelligence in higher education institutions will facilitate the achievement of the following objectives: 1) simplifying the teaching and learning process, particularly in remote settings; 2) developing the concept of a smart assistant, which provides support to both professors and students in finding information, processing data, and performing routine tasks (this assistance should comply with academic standards); 3) creating educational programs and courses tailored to individual needs; and 4) streamlining the timely execution of administrative tasks within higher education institutions.

At the same time, due to the expanding scope and capabilities of artificial intelligence (AI), the necessity for a suitable regulatory framework has become evident. The adoption of ethical and legal guidelines should ensure the implementation of reliable AI and clarify the lawful purposes of AI systems in key areas, including education policy. This framework will establish legal grounds to prevent the unlawful use of AI. Furthermore, human rights must be respected and protected by both the creators and users of AI applications. Additionally, to achieve the desired outcomes, AI systems should be equipped with objective information. By processing such data, they can draw accurate conclusions and assist humans in effectively performing various tasks, including automating routine objectives in higher education institutions.

**Keywords:** Artificial Intelligence, digital transformation, education.

## სწავლის სწავლა ანუ საკუთარი სწავლის უნარის გაცნობიერება ონლაინტექნოლოგიების გამოყენებით

### ხათუნა ხალვაში

დოქტორი, მენტორი მასწავლებელი, ასოცირებული პროფესორი,  
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი,  
აჭარა, საქართველო  
[Khatuna1603@gmail.com](mailto:Khatuna1603@gmail.com)

თანამედროვე სწავლების აუცილებელი პირობაა ონლაინტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში. სწავლის სწავლა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობაა. საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება არის უნარი, როცა მოსწავლე აცნობიერებს, როგორ უნდა ისწავლოს უფრო ეფექტურად, როგორ მართოს საკუთარი დრო, ყურადღება და ენერჯია, რომ მიაღწიოს სასურველ მიზნებს. სწავლის სწავლა გვეხმარება: უფრო სწრაფად გავიგოთ ახალი ინფორმაცია, შევარჩიოთ სწორი სწავლების სტრატეგიები, ვმართოთ სტრესი და შევოთვა სწავლების პროცესში, ვიქცეთ უფრო მოქნილ და დამოუკიდებელ მსწავლელებად.

კვლევა მიზნად ისახავს მოსწავლის სწავლის სწავლის უნარის განვითარების გზების ძიებას: სწავლის სტილის შეფასებას, სწავლების სტრატეგიების მორგება სწავლის სტილს, ისეთი ონლაინტექნოლოგიების გამოყენებას, რომლებიც მათ სწავლას გაუმარტივებთ; ცნობიერების ამაღლება მათი სწავლების პროცესის შესახებ; იდეებისა და შედეგების გამოქვეყნებასა და მასზე უკუკავშირის მიღებას, სწავლების მიზნის შესატყვისი ონლაინსერვისების შერჩევასა და გამოყენებას. სწავლის უნარის გასაცნობიერებლად მოსწავლეებს ვთავაზობთ სწავლის კომპონენტებს მისადაგებულ ონლაინტექნოლოგიებს

კვლევა დამყარებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვებასა და შედარებითი ანალიზის მეთოდზე, მოძიებული და დახარისხებულია ონლაინინსტრუმენტები მოსწავლეებში საკუთარი სწავლის უნარის გასაცნობიერებლად, ჩატარებულია ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ.

კვლევამ წარმოაჩინა, რომ საკუთარი სწავლის გაცნობიერების პროცესში ონლაინინსტრუმენტების გამოყენება გახლავთ მამოტივირებელი ფაქტორი სწავლების ხარისხის ასამაღლებლად; მოძიებული ონლაინპროგრამები, გზები და ხერხები, მეთოდები და სასწავლო აქტივობები შესაძლებელს ხდის მოსწავლე დავაკვირვოთ საკუთარ სწავლის სტილზე, მივუსადაგოთ სწორი მიდგომა, რათა სწავლების მეთოდები მაქსიმალურად მოარგოს მათ ინდივიდუალურ სტილს. სწავლის სტილი პირობითი ცნებაა და მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვის როგორ ურჩევნია ან უადვილდება სწავლა; თუ ჩვენ ისეთ სტილს გვთავაზობენ, რომელშიც თავს კომფორტულად არ ვგრძნობთ, მაშინ ნაკლებად ვართ ჩართული პროცესში და ნაკლებ ეფექტიანად ვსწავლობთ. მოსწავლის სწავლის უნარი ხშირად არის დამოკიდებული მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებულ ურთიერთობაზე. მოზარდის სწავლის სტილის სწორად გაგება მაქსიმალურად უწყობს ხელს ეფექტიანი სასწავლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ოპტიმალური სასწავლო სიტუაციის განსაზღვრას. საინტერესოა დავაკვირდეთ, როგორ ირჩევს მოსწავლე სამუშაოდ მეწყვილეს, ჯგუფს, რომელთანაც ის თავს კარგად გრძნობს. მოსწავლის სწავლის სტილის განსაზღვრისას სწორი დიაგნოზის დასმით მასწავლებელი თავიდან აიცილებს შეუფერებელ სასწავლო სიტუაციას, სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

კვლევის ღირებულებად უნდა ჩაითვალოს, რომ განისაზღვრა სასწავლო მიზნის შესატყვისი აქტივობები სწავლის უნარის გასაცნობიერებლად, შეირჩა ციფრული ინსტრუმენტები, სწავლის სტილის შესატყვისი ონლაინრესურსები: ონლაინპრეზენტაცია, სქემის შევსება, მენტალური რუკები, დროის ხაზი, ონლაინდაფა, ონლაინვიქტორინა, ინტერაქტიური ვიდეოს, სამგანზომილებიანი წიგნის შექმნა, ინტერაქტიული სავარჯიშოები, ინტერაქტიური პლაკატის შექმნა, ონლაინკონფერენცია, კედლის გაზეთი, აფიშის, მოსაწვევის, სერტიფიკატის შექმნა,

თვითშეფასება, შეფასება, უკუკავშირი. განისაზღვრა ინსტრუქციები ონლაინინსტრუმენტების გამოყენებისათვის. შემოთავაზებულია შეფასების კრიტერიუმები, შემუშავდა რეკომენდაციები.

კვლევის შედეგები დიდ სამსახურს გაუწევს სტუდენტებს, მასწავლებლებს, განათლების სფეროს მუშაკებს სწავლება/სწავლის მეთოდოლოგიაში, როგორც დამხმარე მასალა.

**საკვანძო სიტყვები:** სწავლება, სწავლის სწავლა, ონლაინინსტრუმენტები.

Learning to Learn or Developing Self-Learning Awareness Using Online Technologies

**Khatuna Khalvashi**

*Doctor, Mentor Teacher, Associate Professor, Georgian Patriarchate St. Tbel Abuseridze Teaching University, Adjara, Georgia*

[khatuna1603@gmail.com](mailto:khatuna1603@gmail.com)

Incorporating online technologies into the educational process is an essential condition of modern teaching. Learning to learn is a combination of knowledge, skills, and attitudes. Planning and organizing one's own learning activities is a skill where students become aware of how to learn more effectively, how to manage their time, attention, and energy to achieve desired goals. Learning to learn helps us: understand new information more quickly, select appropriate teaching strategies, manage stress and anxiety in the learning process, and become more flexible and independent learners.

The research aims to explore ways to develop students' learning to learn skills: assessing learning styles, adapting teaching strategies to learning styles, using online technologies that simplify their learning; raising awareness about their learning process; publishing ideas and results and receiving feedback on them, selecting and using online services appropriate to learning objectives. To help students develop awareness of their learning abilities, we offer online technologies tailored to learning components.

The research is based on observation of the learning process and comparative analysis method, with online tools researched and classified to help students develop awareness of their learning abilities, and surveys and interviews conducted.

The research has shown that using online tools in the process of developing learning awareness is a motivating factor for improving the quality of education; the identified online programs, approaches and techniques, methods and learning activities make it possible to observe students' learning styles, match the right approach, and tailor teaching methods to their individual styles. Learning style is a conditional concept that indicates how one prefers or finds it easier to learn; if we are offered a style in which we do not feel comfortable, then we are less engaged in the process and learn less effectively. A student's learning ability often depends on the relationship between teacher and student. Correctly understanding an adolescent's learning style maximally contributes to establishing an effective educational relationship and determining the optimal learning situation. It is interesting to observe how a student chooses a partner or group to work with whom they feel comfortable. By correctly diagnosing a student's learning style, the teacher will avoid inappropriate learning situations and increase student motivation and engagement in the learning process by using diverse learning strategies.

The value of the research should be considered that it identified learning activities appropriate to educational goals for developing learning awareness, selected digital tools, and online resources appropriate to learning styles: online presentations, schema completion, mental maps, timelines, online boards, online quizzes, interactive videos, creating three-dimensional books, interactive exercises, creating interactive posters, online conferences, wall newspapers, creating posters, invitations, certificates, self-assessment, evaluation, and feedback. Instructions for using online tools were defined. Assessment criteria are proposed, and recommendations were developed.

The research results will greatly serve students, teachers, and education workers in teaching/learning methodology as supplementary material.

**Keywords:** teaching, learning to learn, online tools.

## სწავლა-სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად მენეჯმენტის დაუფლების პროცესში

ნანა ლუხუტაშვილი

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო  
[nana.lukhutashvili@unik.edu.ge](mailto:nana.lukhutashvili@unik.edu.ge)

მენეჯმენტი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დისციპლინას არა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის, არამედ მომავალი ინჟინრების, იურისტების, სახელმწიფო მოხელეებისა და სხვათათვის.

თანამედროვე პირობებში კონკურენციამ, გლობალიზაციამ და ინფორმატიზაციამ, მოიცვა არა მარტო ადამიანთა საქმიანობის ტრადიციული სფეროები, არამედ მოქმედებს შრომის ბაზარზე - მოთხოვნის სტრუქტურის ფორმირებაზეც. მენეჯმენტის ცოდნის აუცილებლობა და მისი კრიტიკული გააზრება სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება.

კვლევების თანახმად გამოკითხულთა 94% მიიჩნევს, რომ კრიტიკული აზროვნება ძალზედ მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, ხოლო იმავე გამოკითხულთა მიხედვით 86% ადამიანებისა ვერ ფლობს ამ უნარებს.

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მოხსენებაში, „ახალი შეხედულება განათლებაზე“, კრიტიკული აზროვნება XXI საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარად დასახელდა.

XXI საუკუნის გამოწვევებზე საპასუხოდ, მენეჯმენტის დაუფლების პროცესში კრიტიკული აზროვნების უნარების განსავითარებლად ვიყენებთ სწავლა-სწავლების ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორებიცაა:

1. ჩიკაგოელი პროფესორის დონა ოგლის მიერ 1984 წელს შემუშავებული ინტერაქტიური სტრატეგია: „**ვიცი – მინდა გავიგო – რა გავიგე**“. ინტერაქტიური მეთოდი, ორიენტირებულია სტუდენტების ფართო ურთიერთქმედებაზე არამარტო პროფესორთან, არამედ ერთმანეთთანაც.
2. **გონებრივი იერიში**. სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრულ დროში ამა თუ იმ პრობლემის ან საკითხის გარშემო შეუზღუდავად გამოთქვამენ „ადგილზე მოფიქრებულ“ საკუთარ აზრებსა და იდეებს.
3. **„თხელი“ (მარტივი) და „სქელი“ (რთული) კითხვების დასმა**. მარტივი კითხვები გულისხმობს ასეთივე ერთგვაროვანი პასუხის გაცემას. ხოლო რთული კითხვები აზროვნების უფრო მაღალ დონეს. მაგალითად, ანალიზს, სინთეზს.
4. **„INSERT“**. გულისხმობს კითხვისას ტექსტის განსაკუთრებულ მარკირებას.
5. **დემონსტრირების მეთოდი** – აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ვახდენთ ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას.
6. **ქეისი (შემთხვევის ანალიზი, სიტუაციური ამოცანა)**. გამოცდილებით სწავლების საუკეთესო მეთოდი; საშუალებას იძლევა თეორიული ცოდნა გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში. იმ გადაწყვეტილების მიღებისაკენ მიმართავს სტუდენტის შინაგან ძალებს, რომელზეც აქამდე არ უფიქრიათ. ესმარება მათ გამოავლინონ პრობლემა, მოახდინონ ამ პრობლემის რანჟირება და სტრატეგიული მიმართულებების წინასწარი რესურსული შეფასება, ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება, მათგან დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე საუკეთესოს შერჩევა და გადაწყვეტილების მიღება.



მაშასადამე, კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად უნდა გამოვიყენოთ სწავლების ისეთი აქტიური მეთოდები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში პრაქტიკული ხასიათის ამოცანებისა და სიტუაციების გადმოტანას.

**საკვანძო სიტყვები:** კრიტიკული აზროვნება, გონებრივ იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ქეისი, „INSERT“.



## Using active teaching methods to develop critical thinking in the process of mastering management

Nana Lukhutashvili

*Associate professor, Doctor, Kutaisi University, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*  
[nana.lukhutashvili@unik.edu.ge](mailto:nana.lukhutashvili@unik.edu.ge)

Management is one of the most important disciplines not only for business administration and economics students but also for future engineers, lawyers, civil servants, and others.

Under modern conditions, competition, globalization, and informatization have not only affected traditional spheres of human activity but also affected the labor market—the formation of the demand structure. The need for management knowledge and its critical understanding is becoming increasingly clear.

According to research, 94% of respondents believe critical thinking is very important in life, while the same respondents believe that 86% of people lack these skills.

In the report *The New Vision for Education* at the World Economic Forum, critical thinking was named one of the most important skills of the 21st century.

In response to the challenges of the 21st century, we use teaching and learning methods and approaches to develop critical thinking skills in the process of mastering management, such as:

1. An interactive strategy **I know - I want to know - what I learned**. The interactive method K-W-L, developed by Chicago professor Donna Ogle in 1984, is focused on students' extensive interaction not only with the professor but also with each other.
2. **Brainstorming**. A teaching method in which students, for a predetermined period, express their thoughts and ideas around a particular problem or question generated on the spot.
3. **Asking thin (simple) and thick(complex) questions**. Simple questions involve giving a similar uniform answer, while complex questions require a higher level of thinking—for example, analysis and synthesis.
4. **INSERT**, which means special marking of the text while reading.
5. **Demonstration method**. Involves presenting information visually.

Case (case analysis, situational task). The best method of experiential learning allows theoretical knowledge to be applied in practice. It directs the student's internal forces toward making decisions that they have not thought about before. It directs the student's internal forces toward making decisions that they have not thought about before. It helps them identify the problem, rank this problem, make a preliminary resource assessment of strategic directions, develop alternative options, select the best one from them based on additional information, and make a decision.

Therefore, to develop critical thinking, we should use active teaching methods that maximize the transfer of practical tasks and situations into the learning process.

**Keywords:** critical thinking, brainstorming, demonstration method, case, INSERT.

## საგნის როლი სტუდენტთა კვლევაში ჩართულობის გასაზრდელად სამედიცინო განათლებაში

მაია მანჭკავა

პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო  
[maia.mantskava@eu.edu.ge](mailto:maia.mantskava@eu.edu.ge)

ნანა მომცელიძე

ასისტენტ-პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო  
[nana.momtseolidze@unik.edu.ge](mailto:nana.momtseolidze@unik.edu.ge)

სამედიცინო სტუდენტების მონაწილეობით სამეცნიერო კვლევა რჩება საერთო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედარებით მცირე კომპონენტად. ეს ტენდენცია შეინიშნება ევროპაში, აზიასა და ამერიკაში, მათ შორის საქართველოშიც. თანამედროვე სამყაროში კვლევის, მეცნიერებისა და განათლების იდეალური ინტეგრაცია კვლავ განუვითარებელია.

სტუდენტების მონაწილეობა კვლევით პროექტებში მნიშვნელოვან სარგებელს გვთავაზობს. კვლევითი ჯგუფებისთვის ეს იძლევა დამატებით სამუშაო ძალას და ახალ პერსპექტივებს. სტუდენტებისთვის ეს არის ფასეული სასწავლო გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს.

სტუდენტების კვლევაში ჩართვა უნივერსიტეტებს მრავალ უპირატესობას სთავაზობს: შეუძლია გააუმჯობესოს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მაჩვენებლები, გააძლიეროს მისი რეპუტაცია და მოიზიდოს საუკეთესო ტალანტები. გარდა ამისა, შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა კურსდამთავრებულებზე, შრომის ბაზარზე და განამტკიცოს უნივერსიტეტის ბრენდი, როგორც მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მიმწოდებელი, რომლებსაც შეუძლიათ გლობალურად კონკურენცია.

"სამეცნიერო მსჯელობის" კურსის შესახებ: ჩვენი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს მოეთხოვება დაასრულოს "სამეცნიერო მსჯელობის" კურსი ოთხ ეტაპად. ეს კურსი მოიცავს ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რომლებიც მოიცავს სიმულირებულ კონფერენციებს. ეს ინოვაციური მიდგომა, რეკომენდებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კიდევ უფრო გაძლიერებულია ჩვენი ფაკულტეტის შემოქმედებითი სწავლების სტრატეგიებითა და უნივერსიტეტის ერთგულებით სტუდენტთა კვლევის მიმართ.

რეალურ კვლევაში სტუდენტების ჩართულობის ხელშესაწყობად, ჩვენი უნივერსიტეტი წახალისებს მონაწილეობას როგორც ყოველწლიურ სემესტრულ კონფერენციებში, ასევე ინდუსტრიულ/მულტიდისციპლინურ კონფერენციებში. კვლევის შედეგების გამოქვეყნება ჟურნალებსა და აბსტრაქტის კრებულებში კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტური კვლევის გავლენას. ეს შესაძლებლობები საშუალებას აძლევს სტუდენტებს განავითარონ აუცილებელი კვლევითი უნარები, როგორიცაა ინფორმაციული წიგნიერება, აკადემიური წერა, პრეზენტაცია და თანამშრომლობა.

ცხრილი 1: სტუდენტების კონფერენციებში ჩართულობის მაჩვენებელი საგან "სამეცნიერო მსჯელობის" გავლისას ერთი წლის განმავლობაში:

საგანი	სამეცნიერო მსჯელობა							
	I		II		III		IV	
საფეხური	GEO	ENG	GEO	ENG	GEO	ENG	GEO	ENG
განათლების ენა								
სტუდენტების რაოდენობა	12	169	15	175	16	168	-	70
სტუდენტურ კონფერენციაზე მომხსენებელთა წლიური რაოდენობა (ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციის ჩათვლით)	21		30		45		12	
საერთაშორისო კონფერენციაზე მომხსენებელთა წლიური რაოდენობა	2		9		11		13	

მკვლევრის ჩართულობა სამეცნიერო ღონისძიებებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში, არის სამეცნიერო მუშაობის წარმატების პირდაპირი ინდიკატორი.

ჩვენი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ სამეცნიერო მუშაობაში ჩართული სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი იზრდება სამეცნიერო კვლევის ადმინისტრირების სფეროში ფუნდამენტური ცოდნის მოცულობის ზრდასთან ერთად (ცხრილი 1).

ძალიან საინტერესო ფაქტია, რომ "სამეცნიერო მსჯელობის" IV ეტაპზე, სტუდენტის ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში უფრო მეტია, ვიდრე სტუდენტურ კონფერენციებში. ეს გამოწვეულია იმით, რომ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა, რომელიც მიღებულია სიმულაციური კონფერენციებიდან, რომლებიც სილაბუსის ნაწილია, დიდ წვლილს შეიტანს სტუდენტების ინტერესის განვითარებაში სამეცნიერო მუშაობის მიმართ, რაც დადებითად აისახება უნივერსიტეტისა და მთლიანად სამეცნიერო სამყაროს კვლევით მუშაობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** კვლევა, სწავლა, სამეცნიერო უნარები, სტუდენტი.

## The Role of the Subject in Medical Education to Increase Student Engagement in Research

**Maia Mantskava**

*Professor, European University, Tbilisi, Georgia*

[maia.mantskava@eu.edu.ge](mailto:maia.mantskava@eu.edu.ge)

**Nana Momtselidze**

*Assistant Professor, Kutaisi University, Kutaisi, Georgia*

[nana.momtsemidze@unik.edu.ge](mailto:nana.momtsemidze@unik.edu.ge)

Scientific research involving medical students remains a relatively minor component of overall scientific research activities. This trend is observed across Europe, Asia, and America, including Georgia. In the modern world, the ideal integration of research, science, and education is still underdeveloped.

Student participation in research projects offers significant benefits. For research groups, it provides additional manpower and fresh perspectives. For students, it's a valuable learning experience, fostering collaboration skills and critical thinking abilities.

Involving students in research offers numerous advantages for universities. It can boost the university's research performance indicators, enhancing its reputation and attracting top talent. Additionally, it can increase the demand for graduates in the job market and solidify the university's brand as a provider of highly skilled professionals who can compete globally.

Regarding the "Scientific Reasoning" course: all of our university's students are required to complete the "Scientific Reasoning" course in four stages. This course includes lectures and practical sessions, which incorporate simulated conferences. This innovative approach, though recommended by the National Center for Educational Quality Enhancement, is further enhanced by our faculty's creative teaching strategies and the university's commitment to student research.

To facilitate student involvement in real-world research, our university encourages participation in both annual semester conferences and industry/multidisciplinary conferences. Publication of research findings in journals and abstract books further amplifies the impact of student research. These opportunities allow students to develop essential research skills, such as information literacy, academic writing, presentation, and collaboration.

Table 1: Dependence of Students' Involvement in Conferences on the Stage of Subject "Scientific Reasoning" per One Year:

Subject	Scientific Reasoning							
	I		II		III		IV	
Education Language	GEO	ENG	GEO	ENG	GEO	ENG	GEO	ENG
Count of Students	12	169	15	175	16	168	-	70
Count of Presenter on Students Conference (include European University Student Conference) in year	21		30		45		12	
Count of Presenter on International Conference in year	2		9		11		13	

The involvement of a researcher in scientific events, conferences, symposiums, congresses, is a direct indicator of the success of scientific work

Analysis of our data showed that the percentage increase in students involved in scientific work increases with the increase in the volume of fundamental knowledge in the field of scientific research administration (Table 1).

A very interesting fact is that at the IV stage of Scientific Reasoning, the student's involvement in international conferences is greater than in student conferences. This is due to the fact that the accumulated experience and knowledge obtained from simulation conferences, which are part of the syllabus, make a great contribution to the development of students' interest in scientific work, which has a positive effect on the research work of the university and the scientific world as a whole.

**Keywords:** research, study, science skills, student.

## საერთაშორისო სიტყვების სწავლება ქართული ენის კურსის დასაწყისში ხათუნა გელაშვილი

მასწავლებელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, თბილისი, საქართველო  
[khatogela@hotmail.com](mailto:khatogela@hotmail.com)

ქართული ენის სწავლის დაწყების წინ უცხოენოვან მოსწავლეებს ხშირად ეშინიათ, რომ ვერ გაუმკლავდებიან მის სირთულეს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია პირველივე შეხება ჩვენს ენასთან იყოს ნაკლებად სტრესული, ინფორმაციული, საინტერესო და, ამავე დროს, წარმატების განცდის მომგვრელი. ამ კვლევის მიზანი იყო ისეთი მასალის და მეთოდის პოვნა, რომელიც პირველივე გაკვეთილზე მოგვცემდა ასეთ შედეგს და, ამავე დროს, იქნებოდა დამწყებთათვის განკუთვნილი ჩემი ქართული ენის სახელმძღვანელოს „პრაქტიკული ქართულის“ შესავალი გაკვეთილი.

2000 წლიდან აქტიურად ვასწავლი ქართულს, როგორც უცხო ენას, რაც საშუალებას მაძლევს ვატარო პრაქტიკული პედაგოგიური კვლევა. უხეში გამოთვლით, 100-200 მოსწავლესთან დამიდასტურებია ის ვარაუდი, რომ

საერთაშორისო სიტყვებით კურსის დაწყება ყველაზე გამართლებულია როგორც ფსიქოლოგიურად და პედაგოგიურად, ასევე სტრატეგიულადაც. წინარე ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება გამოცდილი მეთოდია. საერთაშორისო სიტყვები კი ერთადერთი წინარე ცოდნაა, რაც დამწყებ უცხოენოვან მოსწავლეს გააჩნია ქართული ენის სწავლის დაწყებისას. ამიტომაც საერთაშორისო სიტყვების საშუალებით მოსწავლე ხედავს კავშირს ინგლისურს (ან სხვა ენასა) და ქართულს შორის, როგორ ჟღერს ქართულად ნაცნობი სიტყვები, უვითარდება დაკვირვების და მიხვედრის უნარები, აღმოაჩენს ქართულის ენობრივ მოდელებს და რწმუნდება, რომ თუნდაც პირველივე გაკვეთილიდან უცხო ტექსტში რაღაცას გაიგებს, თუ დააკვირდება მას.

სიახლე ამ შემთხვევაში არა მხოლოდ საერთაშორისო სიტყვების სწავლებით დაწყებაა (ეს შეიძლება სხვა კურსებშიც შეგვხვდეს.), არამედ ის აქტივობები და მიდგომებია, რომლებიც ავითარებს მიხვედრას და შემჩნევას, როგორც ენის შემსწავლელისთვის ნაკლებად დაფასებულ ლინგვისტურ უნარებს.

კვლევის მიზანი იყო ისეთი მთაბეჭდილების დატოვებაც, რომ ქართულის სწავლა არცთუ ისე რთული ყოფილა. შედეგად, როდესაც უფასო საცდელ გაკვეთილზე გავდივართ წიგნის შესავალს, რომელშიც შედის საერთაშორისო სიტყვებზე აქტივობები და ანბანის მიმოხილვა ლინგვისტური კლასიფიკაციით, პოტენციურ მოსწავლეთა 95% წყვეტს, რომ უნდა ქართულის შესწავლა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ქართული ენის პოპულარიზაციას.

კონფერენციაზე დეტალურად ვისაუბრე იმ აქტივობებზე, რომლებითაც ვიწყებ ჩემს ქართული ენის სახელმძღვანელოს „პრაქტიკული ქართული“.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული, როგორც უცხო ენა, საერთაშორისო სიტყვები, ენის კურსის შესავალი, ქართული ენის სახელმძღვანელო.

## Teaching International Words at the Beginning of a Georgian Language Course

Khatuna Gelashvili

Teacher, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Language Centre, Tbilisi, Georgia

[khatogela@hotmail.com](mailto:khatogela@hotmail.com)

Before starting to learn Georgian as a foreign language, students often fear that they will not be able to cope with its complexity. That is why it is very important to make the first encounter with our language stress-free, informative, engaging, and, at the same time, instill a sense of achievement. The aim of this research was to identify materials and methods that could yield such results from the very first lesson while also serving as an introductory lesson for my Georgian language textbook, *Practical Georgian*, which is designed for beginners.

Since 2000, I have been actively teaching Georgian as a foreign language, which has enabled me to conduct practical pedagogical research. My experience of teaching approximately 100 to 200 students confirmed my assumption that starting a course with international words is the most effective approach – psychologically, pedagogically, and strategically. Teaching based on prior knowledge is a proven method, and international words constitute the only prior knowledge that beginner foreign-speaking students possess when they begin learning Georgian. International words help students recognize commonalities between English (or other languages) and Georgian; they identify how familiar words sound in Georgian, develop observation and guessing skills, and discover linguistic patterns in the language. Thus, students realize that even from the very first lesson, they can understand something from a text, provided they observe carefully.

The innovation here is not merely starting with international words (which may be found in other courses as well) but rather the activities and approaches that foster comprehension, guessing, and observation – often undervalued linguistic skills. The goal was also to leave the impression that learning Georgian is not as difficult as it might initially seem. As a result, when I give a free trial lesson to my potential students and teach this introductory lesson from my textbook – which includes activities on international words and an overview of the linguistically classified Georgian alphabet – 95% of potential students decide to pursue Georgian language learning. This, of course, contributes to the popularization of the Georgian language.

At the conference, I will discuss in detail the activities with which I start my Georgian language textbook, *Practical Georgian*.

**Keywords:** Georgian as a foreign language, international words, introduction to a language course, Georgian language textbook.

## ქართული ენის სპეციფიკურ თანხმოვანთა სწავლებისათვის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ფიქრია ჭანტურია

*მოწვეული ლექტორი, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*  
[pikria.chanturia@eu.edu.ge](mailto:pikria.chanturia@eu.edu.ge)

წინამდებარე კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ ის მიგნებები, რომლებიც რთულ საქმეს შეუმსუბუქებს ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს და, ასევე, მათაც, ვინც უშუალოდაა ჩართული ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში. მოხსენებაში განვიხილავთ ქართულის, როგორც უცხო ენის ბგერითი ინვენტარის შესწავლისათვის საჭირო ინსტრუმენტებსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებს, დასახლებული ენის ფლობის პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტექნოლოგიებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება აადვილებს აღნიშნული სამიზნე ენის ათვისების ხარისხს.

მეთოდები: კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ევროპის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კურსის მსმენელთა ნაშრომებში დამზებული შეცდომები. მასალის მოგროვების პირველი ეტაპის შემდეგ, გადაცდენათა აღრიცხვის შემდეგ დავახარისხეთ და თემატურად დავალაგეთ გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები; გამოიყო ქვეჯგუფებიც ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ხაზით. წინამდებარე კვლევაში ქართული სპეციფიკური ფონეტიკური ინვენტარის სწავლების მეთოდებს შევხებით, კერძოდ, ფშვინვიერ თანხმოვანთა და ე.წ. აბრუპტივთა წარმოთქმასთან დაკავშირებულ სირთულეებს. სწავლების პროცესში ვიყენებთ ჩვენ მიერ შედგენილ თამაშებსა და ჩვენეული ტესტების ხელოვნური ინტელექტის მიერ მოდიფიცირებულ ვარიაციებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების ჩართვა მნიშვნელოვანი სიახლე-მექანიზმია ქართული ენის ფონეტიკურ სირთულეთა დაძლევის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული, როგორც უცხო ენა, ფონეტიკური ინვენტარი, ინოვაციური ტექნოლოგიები, სწავლების მეთოდები, ხელოვნური ინტელექტი.



## Using Innovative Methods for Teaching Specific Consonants of the Georgian Language

Pikria Chanturia

*Invited Lecturer, European University, Tbilisi, Georgia*

[pikria.chanturia@eu.edu.ge](mailto:pikria.chanturia@eu.edu.ge)

The purpose of this research is to present findings that will facilitate the difficult task for those interested in learning the Georgian language, as well as for those directly involved in teaching Georgian as a foreign language. In this presentation, we will discuss the tools and innovative technologies needed for studying the sound inventory of Georgian as a foreign language, with the aim of developing practical language skills and applying them in practice. Experience has shown that the use of technologies and innovative teaching methods improves the quality of acquisition of the target language.

**Methods:** During our research, we analyzed errors made in the works of students enrolled in European University courses. After the first stage of collecting materials and recording deviations, we categorized and thematically organized grammatical and lexical errors; subgroups were also identified along the lines of phonetics, morphology, and syntax. In this research, we address methods of teaching the specific Georgian phonetic inventory, particularly the difficulties associated with pronouncing aspirated consonants and so-called abruptives. In the teaching process, we use games we have developed and variations of our tests modified by artificial intelligence.

The research has shown that incorporating innovative technologies is an important new mechanism in the process of overcoming phonetic difficulties in the Georgian language.

**Keywords:** Georgian as a foreign language, phonetic inventory, innovative technologies, teaching methods, artificial intelligence.

---

გამომცემლობა **universal**,



სსიპ **“UNIVERSAL”**

---

იტკოვსკაის #4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
4, A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi, Georgia  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

